ბარბარე მაღლაკელიძე

15 წლის

ქალაქ ფოთის № I საჯარო სკოლა

„ორ კონტინენტს შორის, ერთი ცის ქვეშ“

მოგესალმები,ჩემო თანატოლო,ევროპის ცაზე არსებულო ძვირფასო ვარსკვლავო!

თქვენგან არც თუ ისე შორს არის ქვეყანა, რომლის მთები ცას ეხება და ზღვა უსასრულო ჰორიზონტად იშლება. ეს არის საქართველო, ქვეყანა, რომლის გულიც ორ კონტინენტს შორის ძგერს, მაგრამ სულით მუდამ ევროპისკენ მიისწრაფვის.

ოდესღაც, ჩვენი მიწა ყვავილის კოკორივით იყო, რომელსაც მჭიდროდ ჰქონდა ფურცლები შეკრული, მაგრამ დადგა დღე 1918 წლის 26 მაისი და ამ ყვავილმა გაიხარა, აყვავდა. ეს დღე იყო ჩვენი დამოუკიდებლობის დღე. დამოუკიდებლობა ჩვენთვის არ იყო მხოლოდ რიცხვი და თვე, ეს იყო ოცნება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ცოცხლობდა ჩვენს გულში, როგორც გალიაში გამომწყვდეული ჩიტი.

მაგრამ ამ სიხარულმა დიდხანს არ გასტანა. სულ რამდენიმე წელიწადში, 1921 წელს, რუსული ოკუპაციის მძიმე ჩრდილმა კვლავ მოიცვა ჩვენი მიწა. პეპელა, რომელიც ჭუპრიდან თავისუფლდებოდა, თითქოს ისევ შემოეკრა გარსი. ჩვენი თავისუფლება დავკარგეთ, მაგრამ ღირსება — არასოდეს.

წარმოიდგინე პეპელა, რომელიც, მიუხედავად ქარების და ბურუსის, მაინც ცდილობს აფართხალოს ფრთები. ასე განვაგრძეთ ჩვენ არსებობა სულიერად თავისუფლები, მაგრამ მიწაზე — შეკრული ხელებით. ეს იყო გზა — როდესაც საბჭოთა კავშირის ჩამოშლის ფონზე, საქართველომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა. მას ჩვენ ჩვენი მეორე გაფრენა ვუწოდეთ.

თუმცა ჩვენს მიერ განვლილი გზა თავისუფლებამდე არც ამჯერად იყო იოლი — ეს იყო გზა, რომელიც სავსე იყო დაბრკოლებებით: ომებით, ოკუპაციებით, უთანასწორობით. 2008 წელს რუსეთის მიერ განხორციელებულმა აგრესიამ და ჩვენი ტერიტორიების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციამ — კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ თავისუფლება დაუსრულებელი ბრძოლაა.

ეს იყო გზა, რომელსაც მივუყვებოდით ნაბიჯ-ნაბიჯ, თითქოს პატარა ნაკადული გვიკვალავდა გზას დიდი მდინარისაკენ. დაბრკოლებები იყო, მაგრამ ყოველთვის იყო იმედის სხივი, როგორც განათებული მთვარის შუქი ბნელ გზაზე, რომელიც გზას გვიჩვენებდა და ფარხმალს არ გვაყრევინებდა.

ჩვენ ვისწავლეთ ფრენა, დაცემა და ხელახლა ადგომა. ჩვენთვის დამოუკიდებლობა მხოლოდ ისტორიული მოვლენა კი არა , სულიერი მდგომარეობაა. ჩვენს თავში ჩაკეტილი აზრები, ფიქრები, სურვილები გათავისუფლდნენ , თითქოს გალიაში ჩაკეტილი ჩიტი, უკვე თავისუფალი იყო.

როგორც ზღვისპირა პატარა ქალაქში მცხოვრები, შემიძლია ვთქვა, რომ ევროპული ღირებულებები ჩვენთვის ჰგავს შორეულ ნაპირზე არსებულ შუქურას, რომელიც გზას გვინათებს ქარიშხლიან ზღვაში. ეს არის სიკეთე, თანასწორობა, ურთიერთპატივისცემა — ის

ვარსკვლავები, რომლებიც ჩვენს ცას ღამით ანათებენ. ჩვენ მივისწრაფვით ამ ვარსკვლავებისკენ და გვინდა ვიყოთ მათი ნაწილი.

წარმოიდგინე ორი უძველესი ხე, რომლებიც ერთმანეთს პირდაპირ უყურებენ — თითქოს სურთ ერთად ყოფნა, მაგრამ ნაბიჯს ვერ დგამენ, გაძეგლებულები არიან. ჩვენი ოცნებები და თქვენი ევროპული ფასეულობები სწორედ ეს ფესვებია — და გვჯერა, რომ ეს ფესვები, დროთა განმავლობაში, აუცილებლად გადაიკვეთება.

ჩემო ციურ მეგობარო,

დამოუკიდებლობა არის ჯადოსნური გასაღები, რომელმაც გაგვიღო კარი თავისუფალ სამყაროში. თავისუფლება კი არის ის უსაზღვრო ცა, სადაც ჩვენ ფრენა ვისწავლეთ და გალიაში გამოკეტილი ჩიტის ფრთებს ვაგემეთ მათი არსი. ჩვენ ჯერ კვლავ ვსწავლობთ ფრენას, მიუხედავად იმისა, რომ პირველი გაფრენიდან დიდი დრო გავიდა.

ჩვენ გვჯერა, რომ ოდესღაც ჩვენი ქვეყანა გახდება ევროპული ცის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა, ბრწყინვალე ვარსკვლავი, რომელიც საკუთარი უნიკალური სინათლით გაანათებს ამ დიდებული ვარსკვლავების მიერ შექმნილ თანავარსკვლავედს. ჩვენ გვსურს გავიზიაროთ თქვენი ოცნებები და იმედები, რადგან ვიცით, რომ ერთად შევქმნით ისეთ სამყაროს, სადაც ყველა ვარსკვლავი თანაბრად კაშკაშებს თავისუფლების მარადიული ნათებით.

Barbare Maghlakelidze

15 years old

Public School No. 1 of Poti

,,Two continents apart, beneath a single sky,,

Greetings, my peer, precious star in the sky of Europe!

Not too far from you lies a country where the mountains touch the sky and the sea stretches into an endless horizon. This is Georgia — a land whose heart beats between two continents, yet whose soul has always aspired toward Europe.

Once, our land was like a flower bud, with tightly closed petals. But then came the day — May 26, 1918 — and that flower bloomed. It was the day of our independence. Independence, for us, was not just a date and a month — it was a dream that had lived in our hearts for centuries, like a bird trapped in a cage.

But that joy didn't last long. Just a few years later, in 1921, the heavy shadow of Russian occupation once again fell upon our land. The butterfly that had just emerged from its chrysalis seemed to be wrapped up once more. We lost our freedom, but never our dignity.

Imagine a butterfly that, despite winds and fog, still tries to flap its wings. That's how we continued to exist — spiritually free, though bound on the ground. This was the path — when, in the wake of the Soviet Union's collapse, Georgia once again gained its independence. We call it our second flight.

Yet the path we took toward freedom wasn't easy this time either — it was filled with obstacles: wars, occupations, inequality. The aggression carried out by Russia in 2008 and the occupation of our territories — Abkhazia and the Tskhinvali region — reminded us once again that freedom is an unending struggle.

It was a road we followed step by step, as if a small stream was carving a path toward a great river. There were obstacles, but there was always a ray of hope — like the light of the moon illuminating a dark road, guiding us and not letting us give up.

We learned how to fly, fall, and rise again. For us, independence is not just a historical event — it is a state of spirit. Our minds, once locked, our thoughts and desires — they were freed, like a bird that was once caged and is now in the open skies.

As someone who lives in a small seaside town, I can say that European values for us are like a lighthouse on a distant shore, shining a light through a stormy sea. These values — kindness, equality, mutual respect — are the stars that light up our sky at night. We strive toward those stars and want to be a part of them.

Imagine two ancient trees facing one another — as if they long to be together, but cannot move, frozen in place. Our dreams and your European values are like those roots — and we believe that, in time, those roots will surely intertwine.

My celestial friend,

Independence is a magical key that opened the door to the free world. Freedom is the infinite sky where we've learned to fly and have come to understand the meaning of wings that were once trapped in a cage. We are still learning to fly, even though much time has passed since our first flight.

We believe that one day our country will become one of the brightest, most radiant stars in the European sky — shining with its unique light within the magnificent constellation formed by those stars. We want to share your dreams and hopes, because we know that together we can create a world where every star shines equally, with the eternal light of freedom.